# სახალხო გაზეთი

№ 1133 | პარასკევი, 7 მარტი 1914 წ. | № 1133

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოვდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

**სახალხო გაზეთი**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება**
(კვირაობით).

**პრემიად** 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

**პირველი წიგნი:** „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5 მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

**მეორე წიგნი:** „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი:** „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლილი ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

**სამი აბაზი** უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ **ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:** 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.
2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.


შაბათს, 8 მარტს, ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**პოლკოვნიკის თავად ილია მიხეილის ძის**

**თარხან-მოურავის**

სულის მოსახსენებლად, რასაც გულ-მწუხარებით აუწყებს ქვრივი მისი შვილებითურთ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს. წირვა დაიწყება: $9^{1}/_{2}$ საათზე, დილის პანაშვიდი $11^{1}/_{2}$ საათზე. 156

ელისაბედ ნიკოლოზის ასული მარინდაშვილისა, ნიკოლოზ სვიმონის ძე გელოვანი და ნინო გიორგის ასული გელოვანისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სოფელ ხაშმში, 3 მარტს ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, პირველის მეუღლე, მეორის სიმამრი ხოლო მესამის საყვარელი მამა

**გიორგი იოსების ძე მარინდაშვილი**

დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 7 მარტს, სოფელ ხაშმში წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში. 155

ალექსანდრე ფარნაოზის ძე ყიფიანი, თამარ მეტრეველისა, ფარნაოზ გარსევანის ძე ყიფიანი მეუღლითურთ, შვილებით და რძლით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 6 მარტს, დილით, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პირველისა ცოლი, მეორისა ქალი და დანარჩენებისა რძალი

**მარიამ** ალექსანდრეს ასული **ყიფიანისა.**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, (ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 50). გასვენება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში კვირას, 9 მარტს, დილის 9 საათზე. ბინიდან. 164


**ახალი კლუბი**

პარასკევს, 7 მარტს, 1914 წ.

**სალიტერატურო საღამო**

მესამე კონცერტი ნ. გ. სევერსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: რუსული ოპერეტკის არტისტები ქ-ნნი: ი. გელოვისა, ე. ერნი. ბ-ნნი: ვ. ევგენიევი-მანინა, გ. ოსტროვი და ვიოლონჩელისტი ე. ნ. კოპელნიცკი. დასაწყ. სა. 8-ნახ. ს.

ბილეთები აღებული ოპ. „მარლინ-რუდაკოპი“, გამოდგება კონცერტისათვის. 1095

**გვირგვინი**

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით, ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

**ფასი 1 მანეთი.**

გორის პირველი კერძო

**სამკურნალო**

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობორისა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

**მინაზურაშვილი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1088

**ვაგზლის სამკურნალოში**

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი $11—11^{1}/_{2}$ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით $11—11^{1}/_{2}$ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

**ვაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

**წამლობა „914“.** 1023

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ქვლივის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის ხიდის ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 60 საწოლით.. ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი გ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1 ს.<br>**ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე, 11—12<br>**კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკოვიჩი გ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერაბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთ სნეულ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2.<br>**კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ვენერიულ. სნეულებ. და კანის. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და ბილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

**იყიდება ტყე**

ტფილისიდან 50 ვერსის მანძილზე, კახეთის რკინის გზის ლიანდაგიდან 8—10 ვერსის მანძილზე, ზომით **500 ოთხ-კუთხი დესეტინა**, წიფელი და რცხილა. ცოტა ნაწილი მუხიანია. ეს ტყე დაცული იყო 60 წელიწადი. საშეშე და სახოჯკე მასალა. უკეთესი ტყე არ არის კახეთის მხარეზე.

მსურველთ შეუძლიათ ნახვა **ჭიათურაში გრიგოლ დიმიტრის ძე სანიკიძე.** გაყიდვა შეიძლება მიწიანად ან ტყის მოჭრით გასაჩეხად გრელის ვადით. 90

სამანუფაქტურო მაღაზია

**მ. გ. აბაშიძისა** 1023

**გადავიდა** იმავე თამამშევის ქარვასლაში, ერევნის მოედანზე, სასახლის ქუჩის დასაწყისში, **სამხედრო შტაბის პირდაპირ, სადაც მიღებულია ყოველ-ნაირი ახალი საქონელი. ფასები ძლიერ ხელმისაწვდომად და შეუვაჭრებლად.**

**შემათობით ნაჭრების დიდი იაფობა.**

ქუთაისში

**პ. ოცხელისა** და ამხ.

**წიგნის მაღაზიის მიერ გამოიცემა**

სამეცნიერო და სალიტერატურო კრებული

**„ცხოვრება და მეცნიერება“**

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ უნივერსიტეტის თანამედროვე ძალები.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ყველა წიგნის მაღაზიაში. კრებული დაიბეჭდება მშვენიერ ქაღალდზე და დასურათებული იქნება. წინასწარ ხელის მოწერით ეღირება 1 მანეთად. 1065.

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

**სამკურნალო**

საწოლი ოთახებით

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 160

**საბურთალოზე**

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ იევნეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შეიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

**ექიმი ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო**

**ქალ. ბაქოში**

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი ზომიერებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

**ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი**

**ბ. გ. მებრაბიანცი**

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92 1087

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორ**განოთა, **ათაშანგისა** და კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^{1}/_{2}$ ს. ელისაბედის ქ., **№ 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ.** 1080

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117, ტელეფონი 816.

ნაძალადევში

**ექიმი** ხუდადოვის ქ., 4.

**ი. რ. სურგულაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი $4^{1}/_{2}$—7 საათ. **შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს.** 141

ქ. გორში

**ექიმი** (დოკტორანტი).

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1050

**ექიმი პავლე არდაზიანი**

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

**ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი**

**გადავიდა** ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. **შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების** ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

**ექიმი** ქალისა

**ნინო რცხილაძე,**

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

# ტფილისი, 7 მარტი

**სატერიტორიო პროგრამა.** გუშინ წინ ვსწერდით, რომ საქართველოს ხალხის რეალურ საჭიროების შეგნება გვიკარნახებს, მხარი დავუჭიროთ და დავიცვათ მხოლოდ რეალურ სამშობლოს ტერიტორია და რაც უნდა საწყენი და სამძიმო იყოს, ამ მამშობლოს ფარგლის გარეშე უნდა დავტოვოთ ის განაპირა ადგილები ისტორიული საქართველოსი, სადაც ქართველობა დღეს ან სრულებით არ ცხოვრობს, ან სულ მცირე რიცხვს შეადგენს. ჩვენ დიდად გაგვახარებდა, რომ ქართველობა რეალურად დარჩენილიყო თავის ისტორიულ საზღვრებში, რომ ოსმალთა და სპარსთა გამუდმებულს თავდასხმას სხვანაირად არ დაეტრიალებია მისი ბედის ჩარხი; მაგრამ საუბედუროდ ეს ასე არ მოხდა. დღეს ჩვენ წინ აღმართულია სხვა ფაქტი, რომელსაც მხარს ვერ ავუქცევთ და ვერც გადავლახავთ.

ასეთს დასკვნას ტერიტორიის შესახებ თან სდევს რამდენიმე დავალება, რომელიც აუცილებლივ უნდა შევასრულოთ, თუ არ გვინდა, რომ ჩვენი მისწრაფება იყოს ცალიერი სიტყვა და სატერიტორიო პროგრამა უშინაარსო განცხადება. პირველი დავალება არის შემდეგი: ჩვენ უნდა გავმაგრდეთ და გავძლიერდეთ დღევანდელი ჩვენი მთლიანი მოსახლეობის ტერიტორიაზე. ერთის მხრით უნდა ვეცადნეთ, რომ ამ ტერიტორიის ერთი მცირე ნაწილიც კი არ გადავიდეს გარეშე ელემენტების ხელში, რომ ყოველი გასაყიდი მიწა შევინარჩუნოთ ჩვენი გლეხობისათვის. საქართველოში თავისუფალი მიწა კარგა ხანია არ მოიპოვება. იგი საკმარისი არაა ადგილობრივ მკვიდრთათვის და გარედან აქ ვისიმე ჩამოსახლება ყოვლად შეუძლებელია.

მეორე დავალება მდგომარეობს იმაში რომ თუ ქართველების რეალური მოსახლეობის ტერიტორიის მიწა არაა საკმარისი და გლეხობა იძულებული ხდება სხვაგან გადასახლდეს; ჩვენ აქ საახალშენო მოძრაობას უნდა მივსცეთ გარკვეული სახე, ჩავაყენოთ ისეთ კალაპოტში, რომელიც შეეთანხმება ჩვენს ეროვნულს საჭიროებას. უნდა მოვახეროთ, რომ ჩვენებური გლეხები სახლდებოდნენ იმ თავისუფალ ადგილებზე კავკასიაში, რომლებიც ზედ ეკვრის ჩვენი დღევანდელის მოსახლეობის ტერიტორიას. თუ ქართველები მოწყდებიან ამ ტერიტორიას და ჩაეწვეთებიან სხვა და სხვა ერში, ისინი ძალაუნებურად დაშორდებიან ქართულს კულტურას და გაითქვეფებიან უცხო ერში. ეს აუცილებელი მოვლენაა, რომელიც დიდს ზიანს მოუტანს ჩვენს ისედაც პატარა ერს.

მესამე დავალება შეეხება ტერიტორიის შენარჩუნებას და ახალშენების პრაქტიკულად მოწყობას. მართალია, სიტყვა დიდი საქმეა და განსაზღვრულს შეგნებას, პოლიტიკურს საზოგადოებრივს აზრს ძლიერი გავლენა აქვს ეკონომიურ ცხოვრებაზედაც, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მარტო წერითა და სიტყვიერის ქადაგებით ფონს ვერ გავალთ, ტერიტორიას ვერ შევირჩენთ. აქ უპირველესად საჭიროა პრაქტიკული მუშაობა და უნდა აღვიაროთ გულახდილად, რომ ამ მხრივ ჩვენ დღემდის არა გაგვიკეთებია რა. ისეთი უბრალო რამეც კი ვერ მოგვიწყვია, რომ გლეხებს მოვაწოდოთ ცნობები, თუ სად როგორი ადგილები და რა ფასად იყიდება.

დღეს ტერიტორიის საკითხი ერთი უდიდეს საკითხთაგანია ჩვენი ცხოვრებისათვის. უტერიტორიოდ ქართველი ერის არსებობა და განვითარება ყოვლად წარმოუდგენელია. თუ ქართველებმა დავკარგეთ ეხლანდელი ტერიტორია, თუ აღარ გვექნა დღევანდელი ერთი მთლიანი მოსახლეობა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ ყოველგვარს პოლიტიკურს თვითმართველობას, ვინაიდგან კიდეც რომ მოვიპოვოთ იგი, მის არსებობას ნიადაგი აღარ ექნება, აღარ ექნება მიწა-ტერიტორია. ჩვენ თითქოს გვესმის ამ საკითხის სიდიდე, ბევრს ვსწერთ და ვლაპარაკობთ ტერიტორიის დაცვის შესახებ. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს ძლიერ ცოტაა, ხელი უნდა მოვკიდოთ საქმეს—პრაქტიკულად უნდა დავეხმაროთ გლეხობას მიწების შესაძენად და გავუადვილოთ თავისუფალ ადგილებზე გადასახლება. უნდა შევქმნათ დაუყონებლივ ამისათვის ბანკი, ამხანაგობა თუ სხვა რამ დაწესებულება.

# ხარჭემი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „**ბაკუ**“-**ში** ამ რამდენისამე დღის წინად გრ. სტ—მა წერილი დასტამბა სომხური პრესის შესახებ და იმას ამტკიცებდა, რომ სომხებს არ ესაჭიროებათ სომხური გაზეთი, სომხის საზოგადოებაში არ არის სომხური გაზეთის მოთხოვნილება, სომხებს თავისუფლად შეუძლიანთ გასძღონ უსომხურ გაზეთოდ. ავტორის აზრით, დღეს სომხური გაზეთის უმთავრესი მკითხველია ბურჟუაზია და ბურჟუაზული ინტელიგენცია; მაგრამ ერთმაც და მეორემაც უმეტეს შემთხვევაში კარგად იცის რუსული ენა და მისთვის უფრო სახეიროა რუსული გაზეთების კითხვა, რადგან იქ უფრო მეტს მასალას იპოვნის.

„მაგრამ ასეთ მდგომარეობაშია მარტო სომხური პრესა? სწერს გრ. სტ—ი: ასეთს ბედს არ განიცდის სომხური თეატრი, დრამაც? განა საკუთარის ძალღონით შეუძლია არსებობა სომხურ სცენას?.. სცენასაც ბურჟუაზული ინტელიგენცია ასაზრდოვებს, მაგრამ რატომ უნდა წავიდეს ეს ინტელიგენცია სომხურ წარმოდგენებზე, როცა არსებობს უკეთესი რუსული თეატრი“?!

გაზეთის რედაქცია არ ეთანხმება გრ. სტ—ის ასეთს პესიმისტურს დასკვნას და ცალკე წერილით პასუხს აძლევს. უკანასკნელის ავტორი ხ. ვ—ვი ყველაზედ უწინარეს აყენებს კითხვას, თუ ვინ არის სომხობა?

„თუ სომხობა მხოლოდ შეძლებული კლასია, ამბობს ვ—ი: მაშინ შეიძლებოდა დაახლოვებით იმის თქმა, რომ მას არ ესაჭიროება სომხური გაზეთი. მაგრამ რა უნდა ვუყოთ სომხის უმეტეს ნაწილს, ფართო წრეებს, რომელთაც რუსული არ იციან! ამ წრეებს შეადგენენ მუშები, სოფლის მკვიდრნი, წვრილი ბურჟუაზია, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მდაბალი მოსამსახურენი. ნუ თუ ამათ არ სჭირიათ გაზეთი“?

ავტორი აღიარებს, რომ სამწუხაროდ ამ წრეებში არაა ფართოდ გავრცელებული სომხური გაზეთი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ეს წრეები არ ეტანებოდნენ სომხურს პრესას, არამედ იმიტომ, რომ სომხური გაზეთი შედარებით ძვირია და ხელმისაწვდომი არაა მდაბიო ხალხისთვის; ამისათვის აუცილებლივ საჭიროა, რომ დაარსდეს იაფფასიანი სახალხო გაზეთიო. შემდეგ ვ—ვი ფიქრობს, რომ სომხურმა გაზეთებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მოაქციონ შინაარსს და ენას, შინაარსი უნდა იყოს ხალხისთვის საინტერესო და ენა მდაბიური, გასაგები.

გრ. სტ—ს ცხარედ უპასუხებს იმავე გაზეთში ტ. იოანესიანცი და უარყოფს ყოველს მის მოსაზრებას. იგი შემდეგის სიტყვებით ათავებს წერილს:

„არა, ჯერ კიდევ ცოცხალია სომხის ხალხი და მის შეგნებულს ნაწილს, მუშათა კლასს და იმ ინტელიგენციას, რომელსაც სული ოქროს კერპისთვის არ მიუყიდნია, აქვს მოთხოვნილება სომხური კულტურისა. იმ ხალხს, რომელმაც შექმნა ეროვნული ეკლესია, რომელმაც მისცა ქვეყანას საუკეთესო თარგმანი დაბადებისა და რომელიც ლაპარაკობს მშვენიერს, განვითარებულ ენაზე, რომელიც პატარაა, მაგრამ რომლის არსებაში ჩასახულია დიადი ერის ნიშნები,—ასეთს ხალხს სჭირია ეროვნული თეატრიც და ეროვნული მწერლობაც“.

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

**5 მარტის სხდომა.**

**როძიანკო** თავმჯდომარეობს. სათათბირო არჩევს მთავრობისადმი შეკითხვას მთავრობის უკანონო მოქმედებათა და განკარგულებათა შესახებ ათონის ბერების სარწმუნოებრივი მოძრაობის წინააღმდეგ; შეკითხვა შეეხება აგრეთვე ამ ბერების რუსეთში მოყვანის დროს მათ წინააღმდეგ და ჟურნალისტი **კრანიხფელდის** დასაფლავების დროს ოდესის ადმინისტრაციის მიერ უწესო მოქმედებას. თავმჯდომარე აცნობებს, რომ სათათბიროს დააკლდა ერთი წევრი—ტამბოვში წასულ დამეს გადაცვლილა **ვაკარი** და წინადადებას აძლევს მიცვალებულის ხსოვნას ფეხზედ წამოდგომით სცენ პატივი. ყველანი ფეხზედ წამოდგებიან.

სათათბირო გადადის სოც.-დემოკრატების განცხადებაზედ—შეეკითხოთ შინაგან საქმეთა მინისტრს შევჩენკოს დღესასწაულის აკრძალვის შესახებო.

**ჩხენკელი** შეკითხვის სისწრაფეს იცავს და ამბობს, მთავრობა აქ სდევნის არა მოცლილი ფანტაზიის ნაყოფს, როგორც მაზეპიზმი და სეპარტიზმია, არამედ უკრაინელთა ჭეშმარიტ ნაციონალურ კულტურასა.

შეკითხვის სწრაფლგანხილვის წინააღმდეგ ლაპარაკობს გლეხი **დოცენკო**; იგი აღნიშნავს, რომ მალოროსიული გლეხები შევჩენკოს სცნობენ თავიანთ სახალხო პოეტად, რომელიც პოლონელებისა და ებრაელების მიერ ჩაგრული გლეხკაცისთვის სწუხდა და იტანჯებოდა. ამისთვის შევჩენკოს ეკუთვნის დიდი პატივისცემა და საუკუნო ხსენება. (ტაში მარჯვნივ) შევჩენკო იმ თავისუფლებათა წინამორბედია, რომლებიც შემდეგ სამეფო ტახტის სიმაღლიდგან ებოძა გლეხებს. ამ თავისუფლებისთვის მრავალ-მილიონი გლეხობა თავისი თვითმპყრობელ მეფეთა ერთგული ქვეშევრდომები იქნებიან, მაზეპელთა დემონსტრაციებს კი, რაც შემარცხვენელია რუსის სახელისა და რუსეთის მტრების სასიხარულო, გლეხობა ვერ მოიწონებს, (ტაში მარჯვნივ, ძახილი: ვაშა!)

შეკითხვის სწრაფლ-განხილვა ერთხმად მიიღეს, თვით შეკითხვა კი უარჰყვეს ოქტომბრისტებისა, ნაციონალისტებისა და მემარჯვენეების 136 ხმით, ოპოზიციის 90 ხმის წინააღმდეგ.

თავმჯდომარეს ადგილს იჭერს **ვარუნ-სეკრეტი**. ირჩევა შეკითხვა ხარკოვის უნივერსიტეტში მომხდარ არეულობის შესახებ. შემკითხველების წინადადებაა, ჰკითხონ, იციან თუ არა შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებმა, რომ ხარკოვში უნივერსიტეტის მთავრობის უმოქმედობის და პოლიციის ჩარევის გამო დარღვეულია წყნარი მიმდინარეობა აკადემიური ცხოვრებისა და რა ღონეს უნდა მიმართონ მინისტრებმა, რომ დაიცვან სტუდენტობა აკადემისტების მეტიჩრობისა და პოლიციის რეპრესიებისაგან და რითი სურთ უნივერსიტეტის ცხოვრების წესიერების აღდგენა.

**გელოვანი** შეკითხვის სწრაფლ-განხილვას იცავს, აღნუსხავს ამ საქმის ფაქტიურ მხარეს და ამბობს: სტუდენტებში იყო სტუდენტი—პროვოკატორი, რომელიც ცნობებს აწვდიდა როგორც მზრუნველს, აგრეთვე დამცველ განყოფილებას, და თავისი მოქმედებით მან გამოიწვია უნივერსიტეტში არეულობაო.

**მარკოვი** მე-2-ე. ამგვარი შეკითხვა, რომელიც თავისი უტიფარი თავხედობით 1905 წელს გვაგონებს, უთუოდ უნდა უკუგდებულ იქმნას. შეკითხვის სწრაფ-განხილვა ერთხმად მიიღეს. სათათბირო შეკითხვას არსებითად არჩევს. შეკითხვა უარჰყვეს 156 ხმით 99 წინააღმდეგ.

**როძიანკო** თავმჯდომარეობს. ირჩევა შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გაზეთ „ვერნაია მისლის“ პოლიციის მიერ კონფისკაციის შესახებ. შეკითხვა უარ-ჰყვეს 139 ხმით 76 წინააღმდეგ.

შემდეგი კრება პარასკევს.

# ახალი ამბები

ტფილისი

✦ **სახოფლო მეურნეობა.** ამ ჟამად იყალთოს მამულში (თელავის მაზრა), რომელიც ქართულ სამეურნეო საზოგადოებას ეკუთვნის, გახურებული მუშაობა სწარმოებს. მიწას ჰბარავენ ორპირად. მამულში უკვე გადაბარულია: ორი დესეტინა მიწა—სადელ ვენახის გასაშენებლად, ერთი დესეტინა—ხეხილისა და ნამყენ ვაზის სანერგეების [illegible] ლად და ორი დესეტინა [illegible] ბაღის გასაშენებლად. ახლა იბარება ოთხი დესეტინა მწარე ვაზის სანერგის ჩასაყრელად.

მუკუზანის მამულში (სიღნაღის მაზრა), რომელიც ამავე ქართულ სამეურნეო საზოგადოებას ეკუთვნის, მუშაობის დაწყებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ წინასწარ საჭირო იყო მამულის გაწმენდა ჯირკვნარისაგან. ამის გამო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, შეიძინოს ჯირკვების ამოსაღები მანქანა, რომლის ამორჩევაც თავის მდივანს ვ. ი. რცხილაძეს დაავალა. ჯირკვნარისაგან გაწმენდა მამულისა ამ გაზაფხულზეა განზრახული, ხოლო მამულის დაბარვა-მომავალ შემოდგომისათვის.

✦ **სამეურნეო თათბირი.** ქართულ სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს, ამ გაზაფხულზე კავკასიისა და სომხურ სამეურნეო საზოგადოებათა მონაწილეობით მარტყოფში ისეთივე სამეურნეო თათბირი მოიწვიოს, როგორც შარშან საგარეჯოში გაიმართა. თათბირთან ერთად განზრახულია სამეურნეო იარაღ-მანქანათა გამოცდის გამართვა, რისთვისაც მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა შარშან კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას 500 მან. მისცა.

✦ **საბაღოსნო სასწავლებლისთვის** წყლის მანქანის დადგმა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ იჯარით მისცა „ინჟინერი“-ს ამხანაგობას. მუშაობა მანქანის დასადგმელად მომავალ კვირას დაიწყება.

✦ **ალაზნის არხი.** ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 5 მარტს განიხილა ინჟ. პ. მარაძის მიერ წარდგენილი ალაზნის არხის პროექტი, რომლის განხორციელებაც ვარაუდით 12,000 მან. დაჯდება. საბჭომ დაადგინა, პროექტი განსახილველად და თავის აზრის წარმოსადგენად სატეხნიკო კომისიას გადასცეს.

✦ **ბაღოსნობა-მევენახეობის ინსტრუქტორად** ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მოიწვია დავით გორთამაშვილი, რომელსაც ყოველწლიურ ჯამაგირად საგზაო ხარჯიანად მიეცემა 1,200 მან.

✦ **ახალი გაზეთები ქუთაისში.** ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ გაზეთ „ერის“ სარედაქციო კოლეგია ორად გაიყო. მემარჯვენე ფრთა უკვე შეუდგა საკუთარი გაზეთის „იმერეთის“ გამოცემას. მოკლე დროში გამოვა მემარცხენეების გაზეთიც.

✦ ხვალ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში საღამოს 7 საათზე შესდგება **ტფ. ქართველ ქალთა ხა-**

# ალექსანდრე ბატონიშვილი

**(ისტორიული ამბავი).**

(შემდეგი *)

ამავ დროს თ-დ ციციშვილი ერევნის ხანსაც მუქარას უთვლიდა, რომელიც ორ ცეცხლ-შუა იწვოდა. ერთის მხრით მას აშინებდა განჯის ხანი, რომელიც მოკავშირე იყო ციციშვილისა, მეორე მხრით სპარსეთის მთავრობა გადაყენებას უპირებდა ხანს, თუ კი რამ სიმუხთლეს შეატყობდა. ერევნის ხანმა სპარსეთის მხარე დაიჭირა როგორც მოსალოდნელი იყო და ომის სამზადისს შეუდგა. ერევანში მცხოვრები სომხები ჩუმად ყველა მოკავშირე იყო რუსის მთავრობისა. ხანს მათი ღალატისა შეეშინდა ომის დროს და ამისათვის უბრძანა ოთხი-ათასი სომხის ოჯახი ყარსისაკენ ოსმალეთის საზღვრებში გაეხიზნათ, მინამ ომი გათავდებოდა. ციციშვილმა სომხის არხიმანდრიტი იოანესი გაგზავნა ერევნიდან გაძევებულ სომხებთან. რომელმაც ისე მოახერხა, რომ ყველა ამ სომხებს ყარსის მაგივრად ტფილისისაკენ უყო პირი. ამ სომხების ნახევარი ნაწილი გზა-და-გზა ლორის მინდვრებზე დასახლდა, დარჩენილი 2,000 ოჯახამდე ტფილისს მოაწყდა და დაიჭირა დღევანდელი ტფილისის ავლაბრის გარედ ჟუპნის ადგილები. 1) ასე რომ მომეტებული ნაწილი დღევანდელი ავლაბრის სომხებისა თ-დ ციციშვილის წყალობით გახდნენ ტფილისის მოქალაქენი.

თ-დ ციციშვილს ამ დროს ჰყავდა სულ 3,572 ქვეითი ჯარის კაცი, სამი ესკადრონი ნარვის დრაგუნებისა, სამი ასეული ყაზახი, 12 ზარბაზანი და 200 ქართველ თავად-აზნაურთა მილიციელი, რომელსაც უფროსობდა სარდალი თ-დი ივანე ორბელიანი. ამ ჯარით. თ-დ ციციშვილს უნდა დაეპყრო არა მარტო ერევნის სახანო, არამედ დაემკვიდრებია რუსეთის მფლობელობა შავს ზღვასა და კასპის ზღვას შუა. ციციშვილი გაძლიერებულ ჯარით ერევნისაკენ გაეშურა ურჩ ხანის დასასჯელად და ჭკუის სასწავლებლად და რამდენიმე დღის შემდეგ ერევნის ციხეს ალყა შემოარტყა. არც აბბას-მირზას ეძინა, ის 12,000 კაცით ერევნის მახლობლად გაჩნდა და ახლო დაბანაკდა. აბბას-მირზასთან იყვნენ ბატონიშვილნი ალექსანდრე და თეიმურაზი. ერევნის ხანს ციხე ძალიან გაემაგრებინა, ციციშვილმა ზარბაზნების სიმცირის გამო ციხეს ვერა დააკლო-რა, ხანი არ უთმობდა, მას ახლო მობანაკე აბბას-მირზას ჯარის იმედი ჰქონდა. ამასობაში დრო გადიოდა, ამინდი ფუჭდებოდა, სურსათიც ცოტ-ცოტად აკლდებოდა. სურსათის გამოლევის გამო ციციშვილმა ჯარის შემცირება გადასწყვიტა, ამისათვის მან ქართველ მილიციელებს უბრძანა ტფილისში დაბრუნება, რომლებიც ცივ ამინდს შეჩვეულნი არ იყვნენ. 8 აგვისტოს დილა ადრიან გამოუდგნენ გზას ქართველი მილიციელები. გზის მაჩვენებლად მათ მელიქ აბოვის შვილი—როსტომ ბეგი წამოჰყვათ, რომელმაც ერევან-ტფილისს გზები კარგად იცოდა. პირველ დღეს მილიციელებმა ოცდა ათი ვერსი გამოიარეს და ღამის გასათევად დაბანაკდნენ. უეცრად საიდანღაც მათ თავზე ალექსანდრე ბატონიშვილი დაეცა 300 კაცით; 150 თავად-აზნაური ტყვედ წაიყვანა, ოცმა გაქცევით უშველა თავს და დანარჩენი ამოსწყვიტა. ალექსანდრემ ტყვედ იგდო ხელში სარდალი გენერალი ივანე ორბელიანიც, რომელიც ბორკილებ შეყრილი თავრიზის ციხეში გაგზავნა. ტყვედ წაიყვანეს აგრეთვე გზის მაჩვენებელი როსტომ ბეგიც, ის ალექსანდრემ პირდაპირ აბბას მირზას გაუგზავნა, რომელმაც ციხეში ჩასვა, ბოლოს უბრძანა ისლამის მიღება, რაზედაც როსტომ ბეგმა უარი განაცხადა. ამის გამო განრისხებულმა აბბას-მირზამ ხიშტებზე ააგებინა როსტომ ბეგი.1)

ქართველი მილიციელების ამოწყვეტის შემდეგ, ალექსანდრე 6,000 კაცით ქართლის საზღვრებზე გარდა, მას შეუერთდნენ ყაზახისა, შამშადილისა და ბორჩალოს თათრები, დაუწყეს სომხის სოფლებს ძარცვა და აოხრება. სომხებმა ტფილისს მოაშურეს. ტფილისში დიდი ალიაქოთი ასტყდა, მთავარ-მართებლის სასახლიდან იწყეს ზიდვა და გახიზვნა ხაზინისა, საქმის ქაღალდებისა და ძვირფას ნივთებისა. ციციშვილი ამ დროს მაინც ერევანთან იდგა შეუპოვრად. მას მხოლოდ უსურსათობა უჭირვებდა საქმეს. თავდაპირველად, როცა ერევნისკენ ილაშქრებოდა, მან განკარგულება მოახდინა, რომ სურსათი ტფილისიდან სოფ. ყარაკლისში გადაეტანათ. ყარაკლისში მთელი ბატალიონი დააყენა მაიორ ხოჯაევის უფროსობით, რომელსაც დაევალა სურსათი საჭიროებისამებრ ყარაკლისიდან ერევანს ეგზავნა და აგრეთვე ადგილობრივაც მშვიდობიანობა დაეცვა. ხოჯაევმა ამ მთელ განკარგულებებს თავი ვერ გაართვა, ციციშვილმა ის გამოსცვალა და მის მაგიერ თავის რაზმიდან მაიორი მონტრეზორი დანიშნა. 19 აგვისტოს მონტრეზორი ტფილისისაკენ წამოვიდა, თან ჰყავდა 110 კაცი და ერთი ზარბაზანი, მას უნდოდა თავდაპირველად ტფილისსა და ერევანს შორის მიმოსვლა უზრუნველეყო და მერე კი სურსათი ეზიდა ტფილისიდან ყარაკლისში. ტფილისისაკენ მომავალ მონტრეზორის რაზმს გზაზე სპარსელების ცხენოსანთა რაზმი დაესხა, მონტრეზორი ორი დღე იბრძოდა, მაგრამ თავი ვერ დაიხსნა, 21 აგვისტოს სოფ. სარალისთან (პამბაკის მინდვრებზე) ალექსანდრე ბატონიშვილი გაჩნდა თავისი რაზმით და რამდენიმე წუთის შემდეგ მონტრეზორის რაზმი მოსპო. მაიორი დიდის სიმამაცით იბრძოდა და თავის ჯარის-კაცებსაც ამხნევებდა, მაგრამ ვერას გახდა. თითონ მონტრეზორი ზარბაზანზე აკუწეს, მის გვერდით მამაცურად დაიხოცნენ მისი სამი აფიცერიც. ჯარის-კაცებიდან ერთმა გაქცევით უშველა თავს და 15 ტყვედ წაიყვანეს. ამ მოულოდნელმა ამბავმა ძალიან დაადონა ციციშვილი. ეხლა ტფილისიდან სურსათს აღარ ელოდა სრულიად, ერევნის გარშემო კი თუ რამ იყო სპარსელების ცხენოსანთა რაზმებმა გადასწვეს და მოსპეს.

1804 წ. 31 აგვისტოს ციციშვილმა სამხედრო თათბირი მოახდინა და 4 ენკენისთვეს ერევნის ციხეს ალყა მოხსნა და ტფილისისაკენ დაიხია.

ამ დღიდან ალექსანდრე ბატონიშვილს თითქოს მოქმედობის უნარიც მოემატა. ვინ იცის როდის და სად გაჩნდებოდა ხოლმე და საიდან—სად და ვის პროკლამაციებს არ უგზავნიდა. 1806 წელს, იმერეთის მეფე სოლომონ II-თან ალექსანდრესაგან გამოგზავნილი კაცები მივიდნენ. სოლომონს ალექსანდრე ურჩევდა ამბოხება მოეხდინა და ახალციხის ფაშასთან ერთად, რომელსაც დაქირავებული ლეკები ჰყავდა, ქართლში რუსების მხედრობას თავს დასცემოდა. 1809 წელს ალექსანდრე ახალციხეში გაჩნდა. იმერეთის მეფე ახალციხის საზღვარზე მივიდა, ინახულა ალექსანდრე, მასთან ერთად ახალციხის ფაშას სელიმ-ფაშას თავის სიძე მალხაზ ანდრონიკაშვილი, როსტომ ნიჟარაძე და რაჭის ერისთავი გაუგზავნა, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ სელიმ-ფაშა დაეყოლიებინათ და მასთან ერთად რუსის ჯარის წინააღმდეგ ემოქმედათ იმერეთში.

ახალციხიდან ალექსანდრე ყოველ მხრივ წერილებს გზავნიდა, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე და დიდის პატივით და ნდომით ეპყრობოდნენ მისს მოწოდებებს. ყაბარდოს თავადები ალექსანდრეს წერილზე ასეთ პასუხს უთვლიდნენ: მზადა ვართ დახმარება გაგიწიოთ: „ნიშნად ამისა ჩვენ თავადებმა და საერთოდ ხალხმა ღირს ვცანით გადაუდგეთ ურწმუნოთა მოვალეებს, მივყვეთ ერთად-ერთ ქვეყნის დამცველ კანონიერ ხელმწიფეს და გემსახუროთ თქვენ, რისთვისაც ამ რწმენას გიგზავნით, რომ ჩვენ ერთხმობით თქვენ მოგენდვეთ და ნუ გაქნებათ ამაში ეჭვი“. ამის შემდეგ ყაბარდოში აქა-იქ არეულობამაც იჩინა თავი1). ჯავის ხევლებს ალექსანდრე სწერდა: „შაჰმა გამგზავნა ჩვენ ახალციხეს ისეთი ჯარითა და ხაზინით, როგორიც ჩვენ გვინდოდა, დარწმუნებული ვარ მომეხმარებით, როგორც კი ქართლში შემოვალ. მაშინ დავინახავ როგორ იშრომებთ თქვენ და ხელახლავ აანთებთ ჩვენი სახლის დამქვრალ სანთელს. სახელი თქვენი ყველგან ცნობილი იყო და კიდევაც შემწევი სიმამაცე. ვაშა თქვენ მამაცობას და პატიოსნობას“.

თაგაურლებს ალექსანდრე სწერდა, ეხლანდელი შაჰის ჯარი და მისი მომზადება არა ჰგავს წინანდელს. ეხლა შაჰი ან სულ ხელს აიღებს ირანზედ და ან რუსებს საქართველოდან განდევნის.

ამ მოწოდების შემდეგ ოსები მარტალაც ელოდნენ ალექსანდრეს და ომის სამზადისსაც შეუდგნენ. გორის მემამულეებმაც ციხე კოშკებს უწყეს გამაგრება.

„არ მოვდივარ თქვენ წინაშე ძალითა და ხმლით, სწერდა ალექსანდრე ქართველ თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას და ყველა ხალხს, არც მტრობით იმათ წინაშე, ვინც ცოტა თუ ბევრად დანაშაულობა ჩაიდინეს ჩვენი მაღალი სახლობის წინაშე, არამედ მოვდივარ ნებითა ხვთისათა მტერთა წინააღმდეგ, ყველა თქვენდამი კი ვგრძნობ მშვიდობას და სიყვარულს... მე მაქვს თან სიძლიერე და ხაზინა სამი ძლიერი და უდიდესი სამფლობელოსი—სრულიად ირანისა, ოსმალეთისა და ინგლისისა—თქვენდა განსათავისუფლებლად უცხო ხალხთაგან“.

1810 წელს 13 მაისს, როდესაც ტფილისიდან დატყვევებული მეფე სოლომონ II გაიპარა და ახალციხეს სოფ. კოტელში მივიდა, იქ იმ დროს ალექსანდრე იმყოფებოდა. გახარებულმა ალექსანდრემ მთელ იმერეთს აცნობა ეს ამბავი. „ღმერთმა მოგვხედა ჩვენ, სწერდა ალექსანდრე ოტია ლორთქიფანიძეს, და ბედნიერება ჩვენი სახლისა დაიწყო. დღეს ე. ი. 13 მაისს, მეფე სოლომონი, ტფილისიდან გამოქცეული, თავადებითურთ, რომლებიც მასთან იმყოფებოდნენ მობრძანდა კოტელში. ფაშასა და ჩემ მიერ გაგზავნილია ყველა მხრივ წერილები და მოამბენი. ვიცი, რომ თქვენც ინებებთ იყვეთ ერთგულნი ბაგრატიონის სახლობისა. ეხლა არის დრო და საათი გამოიჩინოთ თქვენ და მაგ მხარემ სიმხნევე და მოქმედება, რითაც საუკუნოდ დაავალებთ ჩვენ ხალხს1)“.

1811 წელს პეტერბურგში მივიდნენ ორი ქართველი თავადნი ანდრონიკაშვილი და ერისთავი და უმაღლეს მთავრობის წინაშე თავს იდვეს ალექსანდრეს სპარსეთიდან მოყვანა. წინადადება ეს დიდის სიამოვნებით იქმნა მიღებული. უმაღლესად ებრძანა მთავარმართებელ მარკიზ პაულუჩს დახმარება გაეწია ქართველ თავადებისათვის. მარკიზ პაულუჩმა არ აასრულა უმაღლესი ბრძანება. თავის გასამართლებლად ასე სწერდა პეტერბურგს; არ არის ღირსი ასეთი დიდის ყურადღებისა ბატონიშვილი

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 1132.

1) სპარსეთის მთავრობამ, როცა გაიგო, რომ სომხებმა ყარსის მაგიერ ტფილისს მიაშურეს, უკან ჯარი დაადევნა ბატ. ალექსანდრესა და თეიმურაზის უფროსობით. ჯარს ნაბრძანები ჰქონდა, სომხები ან უკან დაებრუნებინათ ან სრულიად გაეწყვიტათ. ბატონიშვილებმა სომხებს გუმბრამდის სდიეს, მაგრამ ვეღარ მოეწივნენ.

1) Кавказск старина 1872 г. № 2—стр. 38.

1) აქტები, ტ. 4. № 185.

1) ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი ოტია ლორთქიფანიძისადმი 13 მაისს 1810 წელს.

ზოგადოების მესამე საჯარო კრება, რომელზედაც შალვა ქარუმიძე წაიკითხავს ლექციას: **სული და სხეული ხალხურ თქმულებებში.**

◆ **დიდუბის ეკლესიას** ნება დართეს, შეიძინოს ელისაბედისა და დონდუკოვ-კარსაკოვის ქუჩის კუთხეში მდებარე 406 ოთხკ. საჟენი მიწა (საჟენი 25 მ.), რომელიც ეკუთვნის ანდრია მაძღარიშვილს. ამ მიწაზე უნდა ააგონ შენობა ეკლესიის კრებულისა და სკოლისათვის.

◆ **ელდარის სანერგის** დასათვალიერებლად წასული მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის თავჯდომარე ბ-ნ კორვინ-პავლოვსკი ტფილისს დაბრუნდა.

◆ ქალაქის საბჭოს **სატყეო-საბალნეო კომისიის** თავჯდომარედ არჩეულ იქმნა ს. თ. ხუნდაძე.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** საგამომცემლო სექციის კრება 5 მარტს მოხდა. სექციამ მსჯელობა იქონია საბუნებისმეტყველო წიგნაკების გამოცემის საკითხის გამო. სექციამ ამოარჩია რამდენიმე წიგნაკი ლუნკევიჩისა, ნეჩაევისა და ვაგნერისა და დაადგინა, ხსენებული წიგნაკები საგანგებო მიწვეულ პირთ გადაათარგმნინოს ქართულად და გამოსცეს ექიმების ახვლედიანისა და თიკანაძისა და ს. იაშვილის სზოლოო რედაქციით.

◆ **ქართულ სახელ-მოქმედთა საზოგადოების** გამგეობის კრება დანიშნულია 9 მარტისთვის. გამგეობამ უნდა დანიშნოს საზოგადოების წევრთა საერთო კრების მოწვევის დღე.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** საზოგადოების გამგეობასთან დაარსდა რამდენიმე სექცია: სასკოლო, სალექციო, საფინანსო და საღამოს კურსების გამგე.

## გორი

◆ **წყალში დახრჩობა.** ს. ატოცის მცხოვრები მიხეილ ნებიერიძე ს. აბანოდან, დღეობიდან, მთვრალი შინ ბრუნდებოდა. ნებიერიძე გზაზე მდინარე „ფრონე“-ში ჩავარდა და დაიხრჩო. გვამი ს. ბრეძასთან იპოვეს.

## თიანეთი

◆ **ქალის მოტაცება.** ს. ძეგნაგორის მცხოვრებმა ანტონ დოლოშვილმა სანდრო დრიაშვილისა, სანდრო წითაურისა, ისაკ ხოსრაშვილისა და ისაკ ალიაშვილის დახმარებით ძალით მოიტაცა ს. გორანის მცხოვრები ნინო გუგუჩევა, წაიყვანა ფუშეთის ს. მელისწყაროში და იქ დააუპატიურა.

## ჭიათურა

◆ ჭიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია 16 მარტს, დილის 11 საათზე ადგილობრივ თეატრში.

## თელავი

◆ 2 მარტს წ.-კ. საზ. ადგილობრივი განყოფილების თაოსნობით საკრებულო ტაძარში ქალაქის სამღვდელოებამ დეკანოზ შიუკაშვილის მეთაურობით პანაშვიდი გარდაიხადა ქართველ ჟურნალისტის და საზოგადო მოღვაწის ი. ა. ზარაფიშვილის (ნადიკვრელის) სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდის წინ სიტყვა წარმოსთქვა ვ. პაატაშვილმა. ხალხი საკმაო დაესწრო.

## სოფლად.

◆ **ს. ყალამშია** (ბორჩალოს მხარე). ეს რამდენიმე კვირაა, რაც ს. ყალამშიაში და მიჯაში მძინვარებს ყალათმა (ყელჭირვება); ამ სენმა რამდენიმე ბავშვი იმსხვერპლა; დღემდის ამ გარემოებისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. ადგილობრივი სკოლის მოწაფეებშიაც იჩინა ამ სენმა თავი, რის გამოც ადგილობრივ ქართულ სკოლაში მეცადინეობა დროებით შეწყვეტილია.

# ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სახალხო გამოცემა

როგორც შევიტყვეთ, გამომცემლობას უკვე 1400 ცალი წიგნი დაურიგებია ქ. ტფილისში და პროვინციაში. რადგანაც დანარჩენი წიგნების შენახვა მეტად გაუძნელდება გამომცემლობას, საჭირო არის ვისაც წიგნი ჯერ არ მიუღია, დააჩქაროს მიღება. საჭირო არის აგრეთვე პროვინციელ ხელის მომწერთ შეატყობინონ გამომცემლობას რა მისამართით უნდა გაეგზავნოთ წიგნები.

# მეაბრეშუმეობა კახეთში

ამას წინად კნეინა ელენე ჭავჭავაძისამ „სახ. გაზ“. საშუალებით მიაქცია საზოგადოების ყურადღება მეაბრეშუმეობაზე კახეთში.

მის მოყვანას კახეთში მეტად ხელშემწყობი პირობები აქვს. ზომიერი ჰავის წყალობით ფურცელი მალე ხარობს და იზრდება ქიის მოყვანასაც ხელს უწყობს კახეთის ბუნება. პარკიც ძრიელ მალე საღდება. ამისათვის ეს მეურნეობის დარგი დიდად უნდა იყოს გავრცელებული კახეთში და ერთ უმთავრეს არსებობის წყაროდ უნდა გადაჰქცეოდეთ მცხოვრებთ.

საუბედუროდ ეს ასე არ არის სხვა და სხვა მიზეზების გამო.

ჯერ ერთი ფურცელი საკმარისი არ მოგვეპოვება, რადგა ადვილი შესაძლებელი იყო მთელი სანერგეები გაგვეჩინა და მერე ჩვენ ვენახ-მინდვრების ღობეებში ჩაგვერგა. ხეები (ძირები) სიმაგრედ გამოდგებოდა, ხოლო ტოტებით შეგვეძლო გვესარგებლა.

მეორე და უმთავრესად თვით ქიის მოყვანა-მოვლა პრიმიტიულია, რის გამო ბევრს შრომა-მუშაობა მუქთადა რჩება და შემდეგაც ამის შიშით ერიდება მის მოყვანას.

მესამე თვით პარკის გაყიდვის საქმე მოუწყობელია, თუმცა უნდა დაუმატო, ძრიელ მალე საღდება და ამის მოგვარება არც ისე ძნელია.

დღეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კახეთის მცხოვრებთ იცოდნენ როგორი თესლი შეიძინონ და მერე როგორ მოუარონ, რომ შრომამ უქმად არ ჩაიაროს. ამის შესრულება ძნელი არ არის და არც დიდ ხარჯს გამოიწვევს: საკმარისია კახეთში გამოიგზავნოს ორი ინსტრუქტორი (უკიდურეს შემთხვევაში ერთი მაინც). ამათ უნდა დაიარონ სოფლები და მცხოვრებთ ლექციები უკითხონ, (მერე ეხლა უფრო მოცლილობაა და ჩვენი სოფლის ქალები სიამოვნებით მოისმენენ). მართალია, ერთი-ორი ლექციით სავსებით ვერ შეისწავლიან მეაბრეშუმეობას, მაგრამ ბევრ სასარგებლო ცნობებს კი შეითვისებენ. ამას გარდა ამ ინსტრუქტორმა აქ, სოფლებში უნდა იტრიალოს, რომ საჭიროების დროს მიჰმართონ.

ინსტრუქტორი საჭირო იქნება მხოლოდ ცოტა ხნით ე. ი. ქიის მოყვანის დროს და ამისთვის დიდი ხარჯი არ მოუნდება.

სასურველია ტფ. საბრეშუმო სადგურმა და ქართკ. სამეურნეო საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ინსტრუქტორების გამოგზავნით დაეხმარნენ მხცოვრებთ როგორც მეაბრეშუმეობის გაუმჯობესობის საქმეში, ისე მათი ცხოვრების ახალ წყაროს მოპოვებაში...

**დავიწყებული.**

# წერილი ხარკოვიდან

სამკურნალო ფაკულტეტზე პროფესორ ტრინკლერის დანიშვნის გამო სტუდენტებმა (მედიკებმა) გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვის დროს პროფ. გრიმმა გამოცდა დანიშნა და გამოაკრა სია იმ პირთა, ვინც გამოცდაზე უნდა გამოცხადებულიყო. გაფიცული სტუდენტები არ მივიდნენ. მაგრამ ეს საზოგადო დადგენილება დაარღვია სტუდ. არუთინიანცმა (მეხუთე კურს.) და გამოცდაზე მივიდა. ამ დღეს მ-5 კურსიანები აღშფოთებული იყვნენ, როგორც გრიმმის აგრეთვე არუთინიანცის საქციელით და ერთმა მათგანმა, კაზლოვსკიმ, პროფესორს თავზე გადაახია ის სია, რომელზედაც გვარები იყო ჩამოწერილი.

18 თებერვალს მე-5 კურსიანებმა გალახვა დაუპირეს არუთუნიანცს, რომელმაც რევოლვერის სროლით უპასუხა. მოცვივდნენ პოლიციელები და დაატუსაღეს 16 სტუდენტი, რომლებიც 6—7 დღის შემდეგ გაანთავისუფლეს. ამ ორი ინციდენტის გამო უნივერსიტეტის მთავრობამ დანიშნა „დისციპლინარული“ სასამართლო, რომელმაც გაარჩია კაზლოვსკისა და სხვა მისი ამხანაგების საქციელი და დაადგინა: გამორიცხოს სტუდ. კოზლოვსკი უნივერსიტეტიდან (მთავრობამ იგი უკვე გადაასახლა ხარკოვიდან). გამორიცხეს აგრეთვე სამი ქართველი: ივ. ლორთქიფანიძე (დღემდი სატუსაღოში იჯდა, ამ ჟამად სამშობლოში გაგზავნეს) ვლ. სიჯინავა და შერვაშიძე (ვერც ერთი ვერ დაიჭირეს), ერთი ოსი და ორიც რუსი. რამოდენიმე დღის შემდეგ კიდევ დაატუსაღეს სამი ფილოლოგი, ხუთი ტეხნოლოგი და ხუთი თავისუფალი მსმენელი ქალი.

ამ ყველასათვის შემაწრწუნებელმა ამბავმა თავზარი დასცა ყველა სტუდენტს გახურჩევლად კურსისა და ფაკულტეტისა. დაიწყო სწრაფი კრებები, რომელზედაც გადასწყვიტეს, მხარი დავუჭიროთ გაფიცულთ სანამ არ დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) გაანთავისუფლონ და უნივერსიტეტში დააბრუნონ ყველა დატუსაღებული სტუდენტები, მათ შორის კაზლოვსკიც, 2) უნივერსიტეტიდან დაითხოვენ სტუდ. არუთუნიანცი. უნივერსანტებს თანაუგრძნეს ტეხნოლოგებმა, ვეითლეგბმა და თავისუფალ მსმენელმა ქალებმა, რომლებმაც სამი დღით გამოაცხადეს გაფიცვა.

შეასრულებს თუ არა მთავრობა გაფიცულთა მოთხოვნილებას არ ვიცი, ის კი ცხადია, რომ სტუდენტები მტკიცეთ ადგანან თავის გარდაწყვეტილებას და ერთ კვირაზე მეტი იქნება, რაც უნივერსიტეტში ლექციები არ წაკითხულა.

25 თებერვალი. გათენდა შევჩენკოს სადღესასწაულო დღე. სტუდენტები დილის ცხრა საათიდან უნიუნივერსიტეტის ეზოში თავს იყრიან. გაძლიერებული პოლიციამ უნივერსიტეტს გარს უვლის. თორმეტი საათისთვის უკვე კარგმა ძალმა მოიყარა თავი. უცებ შეიქნა ჩოჩქოლი სტუდენტებში და გააკრეს კედელზე შევჩენკოს სურათი, გარშემო შავი ლენტებით. უკრაინელმა სტუდენტმა ორიოდე სიტყვა სთქვა შევჩენკოზე და სტუდენტებს შორის ერთბაშად იგრიალა „საუკუნო იყოს ხსენება მისი“. ამას მოჰყვა უკრაინული სიმღერები და ბოლოს რუსულად მარსელიეზა. ხალხით თან-და-თან ივსება ეზო, რიცხვი პოლიციელთა მატულობს. გამოდის პრორექტორი, მაგრამ ვიღაცამ მიაძახა „თავს უფრთხილდიო“ და უკანვე ბრუნდება. სიმღერა არ სწყდება. ქუდ მოხდილი სტუდენტები ქუჩაში გასვლას აპირებენ, მაგრამ პოლიცია არ უშვებს. ორი საათი იქნებოდა, როდესაც სტუდენტები დამშვიდდნენ და ქუჩაში მოიყარეს თავი, რათა მოეცადნათ მზრუნველისათვის, რომელსაც მოლაპარაკება უნდა გაემართა გაფიცვის შესახებ. მზრუნველიც მოვიდა. მან ნება დართო ყველა ფაკულტეტს ცალ-ცალკე შეყრილიყვნენ აუდიტორიაში მოსალაპარაკებლად და თანაც აერჩიათ ორ-ორი წარმომადგენელი თითო კურსიდან ნამდვილის გვარებით. ეს უკანასკნელი სტუდენტებმა არ შეასრულეს, რადგან მზრუნველმა არ აღუთქვა ამორჩეულთა ხელუხლებლობა. გაფიცვის თაობაზე ყველამ ერთბაშად გაიმეორა წინანდელი მოთხოვნილების სისრულეში მოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვა გაგრძელდება. 4 საათი იქნებოდა როდესაც მზრუნველს ყველა სტუდენტები, რიცხვით 2000—3000-მდე, ეზოში შეხვდნენ და მოთხოვნილება განუმეორეს. მან ბევრნაირად სცადა სტუდენტების დამშვიდება, მაგრამ ვერა გააწყორა. სტუდენტებმა იგალობეს „საუკუნო ხსენება“ და უკრაინული სიმღერები. მზრუნველს ბევრი უკივლეს, ქუდი მოიხადეო, მაგრამ მან ყურადღებაც არ მიაქცია. აქედან ქუჩაში გამოვიდნენ და თავ-თავის ბინაზე დაბრუნდნენ.

მეორე დღეს უნივერსიტეტს მოადგა 200 ტეხნოლოგი, შემოუერთდნენ სტუდენტებს, იგალობეს „საუკუნო იყოს ხსენება“ და ქუჩაში ერთად გამოვიდნენ. პოლიციას არავითარ ზომისთვის არ მიუმართავს. გაფიცვა გრძელდება.

**გრ. იმერელი.**

# საკანონმდებლო დაწესებულებებში

## დეპეშები

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში განსახილველად შეიტანა კანონ-პროექტი იმპერიაში შეღავათიან პირობებით თუჯის შემოტანისა. მხოლოდ ვადა იქნება 1915 წლის 31 დეკემბერი და შემოტანილ თუჯის რაოდენობა 15 მილიონ ფუთს არ უნდა აღემატებოდეს.

საპოლიციო კომისიაში თათბირი ჰქონდათ, რომ პოლიციელებისაგან ჩამოეშორებინათ მთელი რიგი ისეთ ვალდებულებისა, რასაც საპოლიციო ფუნქციასთან არავითარი კავშირი არა აქვს. იმ მუხლმა, რომლითაც პოლიციელებს ევალებათ თვალ-ყურის დევნება უპატენტოდ არყის გაყიდვისა. ფინანსთა სამინისტროს დასკვნის მიხედვით მთავრობის კანონ-პროექტი ჰფიქრობს, რომ პოლიცია განთავისუფლებული უნდა იყოს ამ თვალ-ყურის დევნებისაგან. კომისიის აზრით საჭიროა ამ მუხლების დანარჩუნება.

პენსიების კანონპროექტის კომისიამ მიიღო წინადადება, რომ პენსია ეძლეოდეს 20 წლის სამსახურის შემდეგ და არა 25 წლისა, როგორც პროექტშია აღნიშნული. სრული პენსია—30 წლის შემდეგ და არა 35 წლისა; 20 წლის სამსახურისათვის უნდა ეძლეოდეს ჯამაგირის 40%, 30 წლისა—65%.

სარწმუნოებითა კომისიამ 18 ხმით 11 წინააღმდეგ მიიღო მუხლი მესამე სათათბიროს რედაქციით, რომელიც შისაძლოდ სცნობს ერთი სჯულიდან თავისუფლად გადასვლას მეორეში.

სახალხო განათლების კომისიაში, საშუალო სასწავლებელთა რეფორმების საკითხის განხილვის დროს დაადგინეს სკოლის დამაარსებელთა სურვილის მიხედვით ნება დართონ ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებისა. მიღებულია აგრეთვე, რომ გიმნაზია უნდა შესდგებოდეს ოთხი უმაღლესი კლასისაგან; ოთხი დაბალი კლასი კი უნდა შეადგენდეს უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელს. ნება დართულია უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის გიმნაზიასთან შეერთება.

(გაზეთებიდან)

**უქმე დღეების შემოკლება.**

საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიამ საჭიროდ სცნო შემოკლოს უქმე დღეები, მხოლოდ [illegible]ლებოდ დასტოვა ის ნაწილი კანონ-პროექტისა, რომლითაც უნდა შემოკლებულიყო უქმე დღეები მუშებისოვის სავაჭრო, სამრეწველო საწყობებში და კანტორებში.

**სრულიად რუსეთის მცხოვრებთა აღწერა.**

საკანონმდებლო წინადადებათა კომისიამ ახალი კანონ-პროექტი მიიღო, რომლის ძალით უნდა გადაიდოს 900,000 მ. სრულიად რუსეთის მოსაზრებამ ეორე აღწერის წინასწარ მუშაობისათვის.

**ქურდობა ტავრიდის სასახლეში.**

დეპუტატმა ვიშნევსკიმ მისცა ტავრიდის სასახლის მოსამსახურეს 48 მან. თეატრის ბილეთების ფასი საბოქაულო ნაწილში გადასაცემად. მოსამსახურემ განაცხადა, რომ მან მიბარებული პაკეტი სახელმწიფო სათათბიროსთან არსებულ საფოსტო ყუთში ჩაუშო. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი კი, როგორც „რეჩი“ გადმოგვცემს, ირწმუნება, რაიმე პაკეტი ფულით იმ ყუთში არ აღმოჩნდაო. თავრიდის სასახლეში საქმის გამოსაძიებლად მივიდა მაძებარი პოლიციის უფროსის თანაშემწე მარშალკი.

სახელმწიფო სათათბიროში საბჭოდან დააბრუნეს კანონ-პროექტი ლოთობასთან საბრძოლველი ზომებისა. სათათბიროს ბევრი წევრი თანახმაა, რომ კანონ-პროექტი მიღებულ იქმნას საბჭოს რედაქციით, რათა დაჩქარდეს კანონ-პროექტის განხორციელება.

# პატარა ფელეტონი

## ახიაშვილის და ოხიაშვილის ამბავი

იყო ერთი ახიაშვილი, ფრიად გულკეთილი, გულმტკივნეული და გულნაზი ადამიანი; ძალზ. აღრფთოვანებული, ძალზე გატაცებული, ძალზე აჩქარებული: მეტის-მეტად მსუბუქი, მეტისმეტად ცერცეტი მეტის მეტად ამყოლი.

ყველას ეალერსებოდა, ყველას ეარშიყებოდა, ყველა უყვარდა.

წაიკითხავდა, „ფიქრს“ და ჯერ წერილი არ გაეთავებია, რომ წამოიძახებდა: ახ, რა, მშვენიერია! ახ, რა გონივრული მსჯელობაა! ახ, რა ფილოსოფიური-ობიექტური-გაფართოებულ-გაღრმავებული-ლოღიკური დასაბუთებაა.

ხელში აიღებდა „სახალხო გაზეთს“ და წაკითხვამდე იტყოდა: „ახ, რა ლამაზი, გაზეთია; ახ, რა კილოა! ახ, რა მაღალი პოეზიაა. რა დარბაისლური პროზა!.

ჰკითხულობდა „ზაკავ. რეჩს“ და წამდაუწუმ შეჩერდებოდა და ამბობდა: ახ, რა მედგარი მებრძოლნი არიან! ახ, როგორ შესტკივათ გული საქვეყნო საქმეებისათვის! ახ, როგორ ერთგულნი არიან ტრადიციების!

ნახავდა „კლდეს“ და მოუსვენრად დაიწყებდა აქეთ-იქით სიარულს და თან ელაპარაკებოდა თავის თავს: ახ, რა საყვარელი გაზეთია! ახ, რა საყვარელი ხალხია!

მოუტანდა მეგაზეთე „გოლოს კავკაზა“-ს თუ არა, ღიმილით მიაძახებდა: ახ, როგორ მწყურია ამ გაზეთის წაკითხვაო! აიღებდა გაზეთს და გულში ჩაიკრავდა.

ასეთი იყო ახიაშვილი.

იყო ერთი ოხიაშვილიც. ფრიად ბოროტი, გულდვარძლიანი, ტლანქი, მოუხეშავი ადამიანი ძალზე დაღვრემილი, ძალზე დადინჯებული, ძალზე დახავსებული; მეტის-მეტად ტრაბახა, მეტის-მეტად მქუხარა და ნაცარ-ქექია.

ყველას უჯავრდებოდა, ყველას იწუნებდა, ყველაზე გული მოსდიოდა.

თუ შეხვდებოდა ქუჩაში ვინმე სომხის ვაჭარი, ზიზღით გადახედავდა, გულზე ხელს დაიცემდა და იტყოდა:

ოხ! რა სახე აქვს, ერთი დავსცხო რაღა!

დაინახავდა თუ არა ოსის გლეხს, კანკალს დააწყებინებდა და ბრაზმორეული ყვიროდა: ოხ, ღმერთო ჩემო, რა გაიძვერაა, როგორ მიბღვერს! ოხ, ერთი ხელში ჩამიგდო მისი თავი!

ქართველს მუშას სულელს ეძახდა, არ უყვარდა მასთან შეხვედრა და ლაპარაკი, მაგრამ თუ სადმე ძალაუნებურად შეეფეთებოდა, გული ვერ მოუთმენდა და ეტყოდა: ოხ, როდის იქნება, ერთი ჭკუა გასწავლოო!

ნასწავლი და განვითარებული ადამიანი დასანახადაც ეზარებოდა, შორს გაურბოდა და ასე ამბობდა: ოხ, სად არის სამართალი! ასეთი ხალხი განა დედამიწაზე უნდა დადიოდეს!

გაზეთსა და წიგნს ხელში არ აიღებდა—ეგ ავადმყოფების საქმეაო. მაგრამ იმასაც კი ნატრულობდა: ოხ, ერთ. საკუთარი გაზეთი მქონდეს, რომ ყველას ბღლვირი ავადინოო!..

---

ალექსანდრე, ამით მისი სახელი დ გავლენა ხალხზე უფრო ძლიერდება; ასევე ვმოქმედობდით ჩვენ სოლომონ მე-II დ ბატონიშვილი ლევანზე, მაგრამ საწადელს კი ვერ მივაღწიეთ, ამისათვის ჩემის ფიქრით სულ ერთია, სადაც უნდა იყოს ალექსანდრეო.

II.

ზევით ჩვენა ვსთქვით, რომ ალექსანდრე მოხერხებულ დროს შეურჩევდა ხოლმე ქართლ-კახეთში მდგომ რუსის მხედრობაზე დასაცემად და მათ დასამარცხებლად. ასეთი დროდ ალექსანდრემ 1812 წელი არჩია, როდესაც კახეთში ამბოხებამ იფეთქა და დიდმა თუ პატარამ იარაღი შეისხა.[1]) ამბოხების პირველმა ნახევარმა ხანმა თითქმის მშვიდობიანად ჩაიარა რუსის მხედრობისათვის. მთავარ-მართებელ რტიშჩევს ეგონა კახეთი სამუდამოდ დავაწყნარეო. კახეთის გმირი, გენერალი თავ. ორბელიანი სრულიად დაწყნარებული დაბრუნდა კახეთიდან ტფილის 30-მაისს. თანამემამულეთა ამოწყვეტისა და მათი საცხოვრებელის განადგურებისა და აოხრების საჩუქრად ორბელიანმა გენერალ ლეიტენანტის ჩინი მიიღო ბოდბელმა მიტროპოლიტმა წმ. ანნას პირველი ხარისხის ორდენი. სხვა ბევრმა თავადებმა და სამღვდელო პირებმა უხვი საჩუქრები მიიძღვნეს.

კახეთი კი არ დაწყნარებულა, მხოლოდ ისვენებდა, ბოღმის ცეცხლი ძერძოდ ყოველ კახელის გულში ღვივოდა, მხოლოდ პატარა ქარი იყო საჭირო, რომ ცეცხლი გაძლიერებულიყო და ყველაფერი ჩაენთქა ამ ქარმა სწორედ მაშინ დაჰბერა, როდესაც კახეთში ალექსანდრე ბატონიშვილი გაჩნდა.

1812 წელს მაისის დამლევს მთავარმართებელმა რტიშჩევმა ცნობა მიიღო ყაზახის მოურავის თავ. ბებუთოვისაგან, რომ კახელების მოციქულნი მშვიდობიანად გადავიდნენ ერივანს და ალექსანდრე ბატონიშვილი ინახულესო.

ალექსანდრემ კახელებს დააბარა, თუ სპარსეთი მხარს არ დამიჭერს, მე მაინც გავჩნდები კახეთში და საერთო აჯანყებას მოვახდენო.*)

რტიშჩევი მეტად გააკვირა ამ მოულოდნელმა ამბავმა, მან არც კი დაიჯერა, რომ ალექსანდრე ამას მოახერხებდა. ნათქვამია: სიფრთხილეს თავი არა სტკივაო და სწორედ ამისათვის უბრძანა რტიშჩევმა გენერალ-მაიორ კლოდტ-ფონ-იურგენბურგს, რომ ეშოვა საიმედო პირები და ყარაულები დაეყენებინა ბორჩალოში, სომხეთში, ყაზახში და ყველა იმ ადგილებში, სადაც კი ალექსანდრეს შეეძლო გამოევლო. თუ მართლა ალექსანდრე გაჰბედავდა კახეთისაკენ წამოსვლას, შეეპყროთ იგი, რისთვისაც დიდ საჩუქრებს მიიღებდნენ. როგორც ზევითა ვსთქვით ალექსანდრე 1800 წ. დასაწყისში გადიხვეწა სპარსეთს, სპარსეთის მთავრობამ დიდის პატივით მიიღო იგი და აღუთქვა საქართველოს ტახტის დაბრუნება, თანაც ფირმანებს უგზავნიდა კახელებს და უთვლიდა არ დაევიწყებინათ ალექსანდრე და დახმარება აღმოეჩინათ მისთვის.

მეცამეტე წელი მიდიოდა ასეთ წერილების წერაში და მზადებაში. კახეთის ამბოხებამ და იქაურ თავადების თანაგრძნობამ ალექსანდრეს დაანახა, რომ ეხლა კი დრო იყო თავისი საწადელი სისრულეში მოეყვანა.

„მოიგონეთ თქვენ ძველი ხმალიო, სწერდა ალექსანდრე კახელებს, ათასჯერ ჩვენი ხალხისათვის თქვენი მოღვაწეობით ჩინებულ ყოფილი და თქვენი საყვარელი მეფის ირაკლის შვილებისა და კანონების გულისათვის ნუ დაიზოგავთ პატიოსან თავსა და სახელს, რომ მთელ ქვეყანაზე ყველამ ილაპარაკოს,—მეფე ირაკლიმ დაუტოვა თავის შვილებს ასეთი ერთგულნი ქვეშევრდომნი. ამით თქვენ თავს ისახელებთ და პატივი ექნება განსვენებულ მეფეს კუბოში.“[1])

1812 წელს, ალექსანდრეს წერილებს ქართლ-კახეთში დიდი გავლენა არ ჰქონია, ბრძანებს პატივცემული ისტორიკოსი პოტტო, მისთვის რომ გლეხობა მინდვრად იყო გასული სამუშაოთო.

მხოლოდ თუშებმა, ფშავებმა და ხევსურებმა, რომელთა შორისაც ალექსანდრეს კაცები ძერძოდ მოქმედობდნენ, მღელვარება დაიწყეს, იწყეს აქა-იქ თავის მოყრა და თავს ესხმოდნენ საქართველოს სამხედრო გზაზე რუსის მხედრობის სადარაჯოებსა და სურსათს.

1812 წ. ენკენისთვის პირველ რიცხვებში, ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ ალექსანდრე ქართლში გადმოვიდა და ავჭალის მახლობლად მდ. მტკვარზე უნდა გავიდესო. ამ დროს რტიშჩევი ტფლისში არ იმყოფებოდა, წასული იყო ყარაბახში, სპარსეთის საზღვარზე, აბბას-მირზასთან მოსალაპარაკებლად. ქართლის ჯარის უფროსად დარჩენილი იყო კახეთის გმირი გენერალი თავ. ორბელიანი, რომელმაც ფიცხლავ ზომები მიიღო ალექსანდრეს დასაჭერად. მიუხედავად ამისა ალექსანდრე 6 ენკენისთვეს თავის ამალით, ასი კაცით, მშვიდობიანად გავიდა მტკვარზე ღამით, მცხეთის ზემოთ, გადიარა მთა გორები და თიანეთში ავიდა[1]).

ალექსანდრეს თიანეთში მოსვლის ამბავმა ერთბაშად შესძრა მთელი კახეთი. დიდი და პატარა იარაღს ისხამდა და მისკენ ეშურებოდა. ყველას გული გაახარა დიდებულის სტუმრის მობრძანებამ. თავ. ორბელიანმა მაშინვე პოლკოვნიკი პეჩორსკი არაგვის მინდვრებისაკენ გაგზავნა ჯარით და პოლკ. ტიხანოვსკი კი ალაზნისაკენ. პოლკოვნიკ პეჩორსკის მე-15 ეგერის პოლკის ბატალიონით უნდა სოფ. ბალაჩაური დაეჭირა, რომელიც თიანეთის გზისა და საქართველოს სამხედრო გზის ჯვარედინზე მდებარეობდა, ეს სოფელი უნდა დაეცვა და თანაც ალექსანდრეს ყურადღება მიეპყრო და მისი ჯარის სიძლიერე დაექსაქსა. ტიხანოვსკი გაგზავნილი იყო იმ აზრით, რომ მცხოვრებლებისთვის გამოეცხადებინა და ჩაეგონებინა, რომ ალექსანდრეს მხარეს არ გადასულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარი მზად იყო მათ დასასჯელად.

ტიხანოვსკი 8 ენკენისთვეს უნდა გამგზავრებულიყო სიღნაღიდან კაბარდინის პოლკის ხუთი როტით, გზაზე მას ერთი როტა ველისციხეში უნდა შეერთებოდა, ერთი ბატალიონი თელავში და ამ ჯარით 13 ენკენისთვის ალავერდის მონასტერში მოესწრო მისვლა. მონასტერში ამ დღეს დიდი დღესასწაული იცის და დიდძალი ხალხი იყრის თავს. კახელები, ფშაველები, ხევსურები, ლეკები, სომხები—ყველა მონასტრისაკენ ეშურება. რტიშჩევს ეგონა ალექსანდრე დღესასწაულით ისარგებლებდა, ხალხს ფიცს მიაღებინებდა და თავს მეფედ გამოაცხადებდა. რომ მისთვის ხელი შეეშალა ამიტომაც იყო მისი ფიქრით აქ საჭირო ჯარის თავის მოყრა.

**ვგ. ბესაძე.**

(შემდეგი იქნება)

---

1) დაწვრილებით კახეთის ამბოხების ამბავი აწერილი აქვს ბ. ალექსანდრე ყიფშიძეს „კახეთის ამბოხებაში“, ამისთვის კახეთის ამბოხების ამბავს არ შეუდგები. ა. ა.

*) ყაზახის მოურავის თ-დ ბებუთოვის მოხსენება რტიშჩევისადმი 30 მაისს 1812 წ., № 177. პოტტო, ტ. მეორე, გვ. 390.

1) Утвержд. Русск. влад. т. II с. 391.

1) თავ. ორბელიანის მოხსენება რტიშჩევისადმი 6 ენკენისთვეს 1812 წ. № 2. ორბელიანის მოხსენებით ალექსანდრე სოფ. კავთისხევით თიანეთში ავიდა. ბ ა. ფრონელი ამას არ ეთანხმება, ის ბრძანებს, ს. კავთისხევი მტკვრის მარჯვენა მხარეს არის, და თუ ალექსანდრე ავჭალასთან მტკვარზე გავიდა მაშინ შეუძლებელია კავთისხევი გაევლო და თიანეთში ასულიყო. „კახეთის ამბოხება“, ჩემის ფიქრით უფრო დასაჯერებელია, როგორც ბ. ა. ფრონელი ბრძანებს, რომ ალექსანდრე მტკვარზე გავიდა კოწახურის ფონზე, გაიარა მუხრანი და აგვისტოს 10-ს თიანეთს ავიდა. დროც 6 ენკენისთვე შეცდომით უნდა იყოს ორბელიანის მოხსენებაში.

ასეთი იყო ოხიაშვილი.

ახიაშვილი ქალია სქესს ეკუთვნოდა, ახიაშვილი მამაკაცთა სქესს.

ერთმანეთი მოეწონათ. ჯვარი დაიწერეს.

შვილი ეყოლათ. დაარქვეს სახელად ზომიერა.

ზედმეტ სახლად უწოდეს გონიერა.

მაგრამ ბავშს გონიერების არა გამოაჩნდა რა. რაღაც უდღეური გამოვიდა არც თავადიშვილს ჰგვანდა არცა სოვდაგარიშვილს. არც ახიაშვილებისკენ იყო, არც ოხიაშვილებისკენ, არ არც ახ-ს იძახოდა, არც ოხ-ს.

მხოლოდ გაუგებრად ლუღლუღებდა, რაღაცას წრიპინებდა.

**წკიპურტა.**

## რუსეთი

**პროფ. ბოდუენ-დე-კურტენეს საქმე.**

28 თებერვალს პეტერბურგის სამოსამართლო პალატის საგანგებო საკრებულოში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაირჩა საქმე გამოჩენილ მეცნიერის პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ბოდუენ-დე-კურტენესი. 70 წლის დამსახურებულ პროფესორს, რომელიც 50 წლის განმავლობაში ასწავლის მოზარდთაობას, აბრალებდნენ ხალხის ასაჯანყებლად წაქეზებას და მთავრობის შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებას. ყველა ეს დანაშაული დაინახეს პროფესორის სამეცნიერო გამოკვლევაში: „ნაციონალური და ტერიტორიალური თვისებანი ავტონომიისა“.

ამ შრომის დასაწყისში ბოდუენ-დე-კურტენე აღნიშნავს, რომ აქამდის პრაქტიკულ მოღვაწეობისაგან დაშორებული იყო; და დაინტერესდა იმით მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში, როდესაც საერთო მოძრაობის ძლიერმა ტალღამ ყველანი ჩაითრია. შემდეგ ნაციონალიზმის დაწვრილებით განხილვით იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუსეთის დანაწილება აუცილებელია რადგანაც ასეთი ბუმბერაზი სახელმწიფო, რომლის მართვა-გამგეობა უკიდურეს ცენტრალიზმზეა დამყარებული, ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა დაიმსხვრეს. პროფესორი საჭიროდა სცნობს, სანამ ეს უზარ-მაზარი ქვეყანა არ დაინგრეულა თავისივე სიმძიმის ქვეშ, სახელმწიფო სათათბირო უნდა გადაიქცეს ნამდვილ საკანონმდებლო დაწესებულებად და აღიაროს ცალკე ოლქთა თვითგამორკვევის პრინციპი.

ბრალმდებლის სიტყვით პროფესორი ეხება ზოგიერთების აზრს, რომ რუსეთის იმპერიაში რუსის ხალხი უნდა მეფობდეს, და ამბობს რომ საეჭვოა ამ ეროვნების ისტორიული ღირებულება. ყოველ შემთხვევაში უნდა დაიმსხვრეს ეს სახელმწიფო—კერპი, ვინაიდან ნამდვილი სახელმწიფო არა ნაციონალურ, სარწმუნოებრივსა და სხვა ასეთ პრინციპებზე აგებული, არამედ ტერიტორიისა და საერთო ინტერესების პრინციპზეო, სახელმწიფო ესე უნდა იყოს სარწმუნოებისა, ეროვნულ ინტერესებისა და პარტიობის გარეშე. საფუძვლად უნდა ედოს სრული თანასწორობა უფლებებისა და სრული დეცენტრალიზაცია, ცალკე ოლქებისა ავტონომიამდე. სახელმწიფოს სხვაფრივ დაღუპვა ელის. გარდა ამისა—საბრალმდებლო ოქმის მიხედვით—პროფ. ბოდუენ-დე-კურტენე თავის ნაწარმოებში განზრახ ათავსებს ყალბ ცნობებს, ვითომც მთავრობას ჰსურდეს ყოველივე დამოუკიდებლობის მოსპობა და ამიტომ აწიოკება-აკლებას აწყობდეს ხოლმე. თვითმპყრობელი სატრაპი გენერალ გუბერნატორები საკუთარ კანონებს ჰქმნიან. ხალხი კი სახელმწიფოს ზრდასთან ერთად, თანდათან ღარიბდება; მდიდრდებიან მხოლოდ უფროსები და ექსპლოატატორები

ყველა ამის მიხედვით პროფ. ბოდუენ-დე-კურტენე სამართალში იყო მიცემული სისხ. სამართ. დებულ. 129 მუხ. 100 ნ. და სასჯელ. დებულ. $1034^4$ მუხ. ძალით.

საქმე გაირჩა სენატორ კრაშენინკოვის თავმჯდომარეობით. პროფესორის ზოგიერთმა პასუხმა პალატის საგანგებო ყურადღება დაიმსახურა.

— თქვენი ეროვნება?

— პოლონელი.

— ახ, პოლონელი? სარწმუნოება?

— რომის—კათოლიკე!

პროფ. ბოდუენ-დე-კურტენემ თავი დამნაშავედ არა სცნო და განმარტა, რომ ნაწილი ზოგიერთ წინადადებათა მართლაც, რომ მკაცრია რის გამოც ვწუხვარ. სხვაფრივ კი ჩემი წიგნი ნამდვილი მეცნიერული გამოკვლევაა და შორსა სდგას რაიმე მოწოდებისა და ამბოხების გამოწვევის სურვილზეო.

თავმჯდომარე ეკითხება:—მე, როგორც რუსს, ძალიან მაინტერესებს, როდის დადგება რუსეთის გახრწნის დრო?

— რამდენიმე ასი წლის შემდეგ...

— თქვენ კი წიგნში ამბობთ, რომ ეს ახლო მომავალში მოხდებაო... როგორ უნდა გავიგოთ ეს?

ბრალდებული ისე დაიბნა ამბობს გაზ. „დენი“, რომ ვერ მოახერხა იმის განმარტება, რომ ყოველდღიურად ახლო მომავალი სხვას ნიშნავს და მეცნიერულად კი სხვას.

თავმჯდომარე მოითხოვს ახალს განმარტებას:

— თქვენ ამბობთ: „რაღაც რეალურად არსებული ერთთავიანი“. რა არის ეს?

სასამართლოს მთელი გამოძიება ასეთი კითხვებისაგან შესდგებოდა.

მთავრობის წარმომადგენელი შეეხო იმ ფრაზებს, რომელიც მისი აზრით ამტკიცებს, რომ პროფესორი ხალხს ამბოხებასკენ მოუწოდებს. წიგნის მიზანი ცხადია, რადგან წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს: დასწერა იმიტომ, „რომ გამომეწვია ხმა ცხოვრების სინამდვილეში“.

ამიტომ ბრალმდებელი ჰფიქრობს, რომ ბრალდებულს უდიდესი სასჯელი უნდა მიუსაჯონ, რადგან: ვინ არის ავტორი წიგნისა რომელიც ტყავს აძრობს რუსეთის სახელმწიფოებრივობას?—ვარშაველი აზნაური ბოდუენ-დე-კურტენე!

— რა ღვენა განიცადა მან რუსეთში, რამ აიძულა ასეთი ამხედრება რუსეთის წინააღმდეგ!—არაფერი; პირიქით მან მიიღო დეისტვიტ. სტატსკი სოვეტნიკის ჩინი და ათობით გამგზავრება საზღვარგარედ.

პროფესორმა თავის გასამართლებლად განაცხადა: ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს, მუდამ პრინციპიალური მოწინააღმდეგე ვიყავ ძალმომრეობისა, რადგანაც ეს უგუნურებად და უაზრობად მიმაჩნდა. გარდა ამისა მუდამ მომხრე ვიყავ რუსეთის სახელმწიფოს დაუნაწილებლობისა დ მთლიანობისა, რადგან საზღვრების ყოველი ნაძალადევი შეცვლა უსათუოდ აუარებელ უბედურებას იწვევს როგორც კერძო პირებისას ისე მთელი საზოგადოებისას; მე მუდამ ვგრძნობდი თავს მთლიანი ერთეულს ნაწილად და ეხლაც ისევე ვგრძნობ.

რაც შეეხება ჩემს შეუფერებელ აზრს ზოგიერთ სახელმწიფო პირებზე, ეს პირნი მაშინ უკვე ისტორიას ეკუთვნოდნენ. მიუხედავად ამისა მზადა ვარ, დანაშაულს ვკისრულობ, რადგან უნდა შემეგნო ყველაფერი და მეპატიებინა ყველაფერი; მაგრამ ასე არ მოვიქეცი.

შემდეგ პროფესორმა აღნიშნა, რომ იგი საკმაოდ დასჯილია უკვე თვითონ საქმით. რადგან ამ წიგნის დაბეჭდვით მან დაარღვია სამი აღთქმა:

— პირველი: რომ გზა არ უნდა აექცია მეცნიერულ კვლევისათვის, მეორე, რომ არ უნდა დაინტერესებულიყო საზოგადო საქმეებით და მესამე: თუ დაინტერესდა, მხოლოდ თავისთვის, ხოლო საჯაროთ კი უნდა მორიდებულიყო გამომწვევ კილოს.

ფრიად ხანგრძლივი კამათის შემდეგ საგანგებო საკრებულომ 70 წლის პროფესორი დამნაშავედ სცნო და ორი წლის ციხე მიუსაჯა. სანამ ექვს ათას მანეთის თავდებობას არ წარმოადგენს, საპყრობილეში იქნება ჩაყვდეული.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**5 მარტი.**

**უცხოეთი.**

**პარიზი.** მთავრობას ჰსურს 421,300 ფრანკი გადასდოს ინგლისისა და დანიის მეფეების საფრანგეთში მოსვლის ხარჯებისათვის.

**ათინა.** ალბანეთის ჟანდარმერიის უფროსი ტომპსონი შეხვდა ზოგრაფოსის დელეგატს. ტომპსონი ვალონში გაემგზავრა. ალბანეთის მთავრობის წარმომადგენელთან ზოგრაფოსის დელეგატის მოლაპარაკება კვლავ გრძელდება.

**ბერლინი.** პოზნანში და დასავლეთ პრუსიაში გადასახლების კომისიის ხარჯთ-აღრიცხვის გარჩევის დროს ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიაში ოპოზიციამ აღნიშნა, რომ პრუსიის პოლიტიკა პოლონელების მიმართ უვარგისია, პოლონელთა მიწათ-მფლობელობა მატულობს, გერმანელები ქალაქებში ცოტავდებიან.

**ტოკიო.** აკიტში მიწის ძვრამ 1500 სახლი დაანგრია, მოკლულია 99 კაცი.

**ჩიფუ.** უკანასკნელ დროს ვლადივოსტოკში აქედან 2000 ჩინელი წავიდა სამუშაოზედ, ცინდაოდან 900, დალნისა და ნიუჩჟუანიდან 1500 მოდის.

**ლისაბონი.** თეატრში წარმოდგენა იყო პატიმრულ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის. როდესაც ისინი თეატრიდგან გამოდიოდნენ ხალხი რესპუბლიკის პატივსაცემ ყიჟინით შეხვდა. არეულობა მოხდა. დაჭრილებიც არის.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა სათათბიროს წევრი ტამბოვის გუბერნიიდან **ვაკარი.**

„დენის“ № 62 დაიჭირეს. რედაქტორი წერილისთვის „პეტერბურგი, 5 მარტი“ 129 მუხლის ძალით სამართალში მისცეს.

სატარიფო კომიტეტმა დაადგინა ყოველგვარი ბეჭვდითი ნაწარმოები სამგზავრო მატარებლის სიჩქარით გადაზიდოს იმავე ტარიფით, როგორც წიგნები, გაზეთები და ჟურნალები მიაქვს ეხლა.

გზათა სამინისტრომ წინადადება შეიტანა მინისტრთა საბჭოში, რათა სარკინიგზო სკოლებში მოსამსახურეთ გაკვეთილების ფასი მოუმატონ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა სამკურნალო საბჭოს დადგენილება რადიოლოგიური ინსტიტუტის დაარსებისა.

**ცარიცინი.** ასტრახანიდან პირველი გემი მოვიდა.

**ნოვონიკოლაევსკი.** სამხედრო სასამართლომ პოდპოლკოვნიკ ჩემოდანოვს 2 წლისა და 8 თვის სალუსალო განყოფილება მიუსაჯა, იმის ამხანაგს როიაკს—9 თვისა, კერლენბაუმს—2 თვით სატუსაღო.

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** სამშაბათს, 4 მარტს, კ. დ. ყიფიანის საარტისტო მოღვაწეობის 45 წლის თავის აღსანიშნავად სახალხო სახლში გაიმართა საიუბილეო წარმოდგენა თვით იუბილიარისა, მარიამ საფაროვ-აბაშიძისა და ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით. წარმოადგინეს გ. სუნდუკიანცის ოთხ მოქმედებიანი კომედია „ხათაბალა“. კ. ყიფიანმა კარგად შეასრულა ზამბახოვის როლი. მ. საფაროვ-აბაშიძისამ და ჩერქეზიშვილმა დაატკბეს თავისი თამაშით საზოგადოება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. გოცირიძისა და ი. რომანიშვილის თამაშში. გოცირიძეს სათავისო როლი ჰქონდა და პირნათლადაც შეასრულა; ხოლო რომანიშვილმა გვიჩვენა თვისი საარტისტო ნიჭის მრავალფეროვანება მსახური სარქისას როლში. დანარჩენი სცენის მოყვარენიც ხელს უწყობდნენ ანსაბლს. პიესა უნაკლო იყო რეჟისურის მხრივ. განსაკუთრებითი გემოვნებით და ნიჭით იყო დადგმული მეოთხე მოქმედების პირველი სურათი.

წარმოდგენის შემდეგ დაიწყო მილოცვები იუბილიარისა. სცენა გაჭედილი იყო სახალხო სახლის სცენის მოყვარეებითა და მიმლოცველებით; სცენაზე ხალხი შუა გაირღვა და გამოჩნდა კ. ყიფიანი მარიამ საფაროვ-აბაშიძესთან ერთად. ხალხი ოვაციით მიეგება იუბილიარს. პირველად მიულოცა სახალხო სახლის ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობამ. სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა სახელით მიულოცა ნიჭიერმა სცენის მოყვარემ ი. რომანიშვილმა. გულწრფელი და მგრძნობიარე იყო სახალხო სახლის რეჟისორის ა. წუწუნავას მილოცვა. მიულოცეს კიდევ: „ფიქრის“ რედაქციამ, ავჭალის აუდიტორიის ძველმა სცენის მოყვარეებმა, სახალხო სახლის სომხურ, თათრულ, ოსურ, ასირიულ და გერმანულ წარმოდგენათა სექციებმა. ავლაბრის სახალხო წარმოდგენების სცენის მოყვარეებმა და სხვათა. გურიიდან ამ დღისთვის საგანგებოდ ჩამოვიდა გურულთა გუნდი (6 კაცი) იუბილიარის მისალოცად და გურულ-ხალხური სიმღერების შესასრულებლად, რამაც დამსწრე საზოგადოება ასიამოვნა და მხურვალე ტაში გამოიწვია. იუბილიარს მიართვეს აგრეთვე საჩუქრები. სახალო სახლის მებუფეტემ ყანწი მიართვა. დასასრულ იუბილიარმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას პატივსცემით და ამით დასრულდაზეიმი. **მუმლი.**

P. S. ზუბალაშვილის სახალხო სახლის გამგემ „ჩუბინოვმაც“ მიულოცა იუბილიარს. რამდენადაც ვიცით, გ. ჩუბინოვი ჩუბინაშვილი უნდა იყოს და შეეძლო თვისი მილოცვა აუდიტორიის გასაგებ ენით ეთქვა; მაგრამ ეს არ ყოფილა. ქართულ სცენაზე, ქართველ მსახიობს ქართველი კაცი რუსულად ულოცავს, იმ დროს, როდესაც ოსურ წარმოდგენების სექციის წარმომადგენელმა იუბილიარს ოსურის ენით მიჰმართა.

ამ გარემოებამ დიდი დისონანსი შეიტანა დღესასწაულში და ბევრის უკმაყოფილებაც გამოიწვია. **მ.**

## ანგარიში

„ისტორიული საღამოსი“, რომელიც იყო გამართული „განათლების“ საზოგადოებისაგან 28 ქრისტიშობისთვეს 1913 წ. ახალი კლუბის დარბაზში. **შემოსავალი:** გაყიდული ბილეთებიდან **1112 მ. 15 კ.** შემოწირულება სხვა და სხვა პირებისაგან **118 მ. 50 კ.**, ყვავილებიდგან, პროგრამებიდან, შამპანიურიდან და ბუფეტიდან **270 მ. 40 კ.** სულ 1501 მ. 5 კ.

**დანახარჯი;** თეატრის და დარბაზების ქირა **200 მ.**, მუსიკა და მანდოლინისტები **40 მ.** ცეკვის შესწავლა **50 მ.**, დარბაზების, სცენის მოწყობა და რეჟისორს **94 მ. 10 კ.** ტანისამოსის ქირა და ახალის შეკერვა და სხვ. **61 მ. 47 კ.** შამპანიური, ყვავილები და კონფეტები **54 მ. 25 კ.**, ბილეთების და მოწვევის ბარათების დაბეჭდვა, მარკები, განცხადებები გაზეთებში, აფიშების დაბეჭდვა და გაკვრა და სხვა—**51 მ. 70 კ.** ბუფეტის ხარჯი და მოსამსახურეებს **25 კ. 67 კ.** ხელოსნებს სცენის მოსაწყობათ **16 მ.** სულ **593 მ. 19 კ.** წმინდა შემოსავალი დარჩა—**907 მ. 86 კ.** (ბილეთების ფასი 22 მან. ჯერ არ არის მიღებული).

„განათლების“ გამგეობის დავალებით დიდ მადლობას ვუცხადებ კნ. ელ. ნიკ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა, კნ. ან. ალ. ამილახვრისას. **ა. ახილლეს** კუნდუროვს, მ. გ. გიორგიევს, პეტ. იოს. გოკიელოვს, თავ. გივი ამილახვარს, ნ. ი. საგინაშვილს.

აგრეთვე შემწეობა აღმოგვიჩინეს „კახეთის“ და „საეროს“ საზოგადოებებმა, მ. ლაღიძემ და ახალი კლუბის ბუფეტის მოიჯარადრემ და მადლობას ვუცხადებთ ყველას, ვინც დაგვეხმარა, მონაწილეობა მიიღო გამართვის დროს და თანაგრძნობა აღმოგვიჩინა.

**საღამოს გამგე კნ. ნინო ბოთრფერის ასული ბარათაშვილი.**

## შემოწირულება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ-საცავს და მუზეუმს შემოსწირეს:

1. პროფ. პეტრე გრიგოლის ძემ მელიქიშვილმა: ორას-სამოცდა-[illegible] ცალი სამეცნიერო შინაარსის წიგნი 86 სახელწოდებისა.

2. თავ. მიხეილ თაქთაქიშვილმა: ა) ქება და წამება წმ. მარინესი, ხელთნაწერი, ბ) კრებული, რომელშიაც მოთავსებულია ბარამიანი და თეიმურაზ მეფის ნაწერები: წამება ქეთევან დედოფლისა, ანბანთ-ქება და ვარდბულბულიანი, ხელთნაწერი და გ) ნაწყვეტი 1824 წ. მოსკოვში დაბეჭდილის დავითნისა.

3) ქ-ნმა თამარ ნაცვლიშვილმა: ერთი ვერცხლის დირემი.

4) თავ. მიხეილ დადიანმა: ჭადრაკის ორი ფიგურა, ძვლისა.

5) ბ-ნმა არჩილ ავალიშვილმა: ერთი ვერცხლის ფული არაბულის წარწერით.

6) ქ-ნმა ელენე კარიჭაშვილისამ: სეფისკვრის ბეჭედი და ოდიშის უკანასკნელის მთავრის ძის ნიკოლოზის პორტრეტი.

7) ბ-ნმა შალვა ჩიქობავამ ერთი თეთრი და ორი შავი სპარსული ფული.

8) თავ. მიხეილ მაყაშვილმა ერთი ერეკლე მეორის დროის ვერცხლის ორშაურიანი, ტფილისში მოჭრილი სპარსულის წარწერით.

9) ქ-ნმა მარიამ იაშვილმა ერთი კოლხური თეთრი (ხვსტაგი).

10) ქ-ნმა ოლგა გუდიაშვილმა სპილენძის მადნეულის ნიმუში.

11) თავადის ასულმა რატიშვილმა ქვანახშირის ნიმუში.

12) ბ-ნმა სოსო ხმალაძემ პაწია ხატი ვარძიაში ნაპოვნი.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

სია ხელის მომწერელთა, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ფული ქ. ახალქალაქში განსვენებულ ილია ჭავჭავაძისეულ სახლის გამოსასყიდ ფონდის გასაძლიერებლად.

ანა ქვანია 5 მ., პავლე ქართველიშვილმა 3 მან., დღებუაძემ 2 მან., თორაძემ 1 მან., ლობჟანიძემ 1 მან., ილ. ასათიანმა 2 მან., კონსტ. ქვარიანმა 1 მან., ექ. ილ. ჩოგოვაძემ 3 მ., ჭაბუკიანმა 1 მან., დეკიბაშმა 2 მან., №-მა 1 მან., სვიმონ ხოჯავანი ვმა 2 მან., №-მა 50 კაპ., ი. ზაზაძემ 50 კ., ჯახიმ 50 კაპ., ალ. კიადიკოვმა 50 კ., ალ. მიქელაძემ 1 მან., გ. ბერიძემ 50 კ., ილ. ბზიკაძემ 1 მან., მ. ციციანმა 50 კ., ივრისხეველმა 50 კაპ., ალ. მეფისწვერიძემ 50 კაპ., მარიამ ალხაზიშვილმა 2 მან.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 მ. ფომინა-თხიმოვიჩი (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში ქნ. ლ. ქიალბანთაროვა (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 ი. მ. ზაბლუდოვსკი (გრიბოედოვსკი, 10. ტელ 645).

7—8 ნ. დ. ხატისოვი (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. ნათაშვილი (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 გ. ბ. მირზოევი (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები ეც გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზეწოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ბალაკინის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები ძღვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, სამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა სადამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106 **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამ. 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევი.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადამზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** საფ. № 4/3. შუადღ. 12 ს. 00 წ.

**ყარსისკენ:** სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** , 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ. № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7 **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 31 წ., № 106, **ნარევი.**, მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მეორე და მე-3 კლასის ვაგონით.

## ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ,

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

**ფ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბაბახანოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ზ. ი. ბ ხანსხოვი:** 10—11 ს. საშვებიო, ქალებისა, ბავშვებისა.

**გ. გ. ბენიამინოვი:** 10—12 ს. ყურისა ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. გ. პეტროსიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ზ. პ. კარამეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. პეტროსიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. 1071

**ექიმი** **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**ჩვენი მწერლობა.**

**ჭავჭავაძე ილია.** რჩეული ლექსები 1907 წ. . . . . . 7 კ.
— ოთარაანთ ქვრივი ტფ. 1908 წ. . . . . . . 18 „
— სახრჩობლაზე ტფ. 1908 5 „
— უცნაური ამბავი „ „ 4 „
— კაკო ყაჩაღი . . . . 5 „
— კაცია ადამიანი?! ტფილ. 1908 წ. 20 „
— მგზავრის წერილები ტფ. 1908 წ. . . . . . . 7 „
— მეფე დიმიტრი თავდადებული, 1908 წ. . . . 7 „
— ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი 1908 წ. . . . 3 „
— აჩრდილი 1908 წ. . . 5 „
— განდეგილი 1908 წ. . 5 „
— გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენები 1908 წ. . . . . . . 7 კ.
— დედა და შვილი. ტფ. 1908 წ. . . . . . . 3 „
— აი ისტორია . . . . . 35 „
— პოლემიკური წერილები 10 „
— ცხოვრება და კანონი . 25 „
— კრიტიკული წერილები 25 „
— ქვათა ღაღადი . . . . 30 „

**ახალი წიგნები**

აბესალომ-ეთერის და როსტომის ლექსი პეტრე მირიანაშვილის შეკრებილი ტფ. 1914 წ. . . . . . . 20 „
შოთა რუსთაველი და მისი პოემა. სვიმონ ქვარიანისა ქ. 1914 წ. . . . . . 30 „
საქართველოს ცხოვრება 1469—1800 ზ. ჭიჭინაძისა ტ. 1-ლი 1 მან.
იგივე ტ. 2-ე . . . 1 მან.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.
1072

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგრელოვები.
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**
**ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**
**ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.**
იყიდება
**იმავე ხარისხის**
საქონელი,
**როგორც პუშკინის ქუჩაზე.**
1081